



N 21/4002  
02/08/2022

4002-21-2-202208021805



სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19;

ელ.ფოსტა: [mariam.mchedlishvili@energo-pro.ge](mailto:mariam.mchedlishvili@energo-pro.ge)

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 25 ივლისის N3486 განცხადება, რომელიც ეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია - იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის;
- ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია არ არის სათანადოდ წარმოდგენილი და საჭიროებს დაზუსტებას. მათ შორის: დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ასევე მიმდებარედ განთავსებული ეგზ-ების გათვალისწინებით სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული და დაზუსტებას საჭიროებს ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი, მათ შორის კუმულაციური, ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია;
- ბიომრავალფეროვნების აღწერის ქვეთავში მითითებულია რომ - „საპროექტო ეგზ "წნისი 1" მდებარეობს ახალციხის ქვაბულის გეობოტანიკურ ოლქში“. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ეგზ "წნისი 1" არსებულ ობიექტს წარმოადგენს, ხოლო დაგეგმილი/საპროექტო საქმიანობა ეხება ახალი 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას. წარმოდგენილი უნდა იყოს უშუალოდ საპროექტო მონაკვეთის/დერეფნის და საყრდენების ტერიტორიების, ასევე აღნიშნულ

**ტერიტორიებზე არსებული გარემო პირობებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია;**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ეგზ-ის გაყვანა დაგეგმილია მთიან რელიეფურ პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხმაურითა და ვიბრაციით ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, საპროექტო ობიექტის სპეციფიკისა და მიმდებარედ არსებული მაღალი ძაბვის ობიექტების გათვალისწინებით, ეგზ-ების ექსპლუატაციის ეტაპი დაკავშირებული იქნება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ ჯამურ ზემოქმედებასთან, რომლის მნიშვნელობის შეფასების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ანძების სამონტაჟო სამუშაოების, ასევე სამშენებლო ეტაპზე წარმოქმნილი გრუნტის/ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შესაძლო რაოდენობის, დროებითი დასაწყობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის შესახებ ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებით სკოპინგის ანგარიშში მითითებულია სხვადასხვა მონაცემები;
- საპროექტო ობიექტის მიმდებარედ არსებული ეგზ-ების მიუხედავად კუმულაციური ზემოქმედება განხილულია მხოლოდ მშენებლობის ეტაპისთვის, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- მიზანშეწონილია დაზუსტდეს საპროექტო ეგზ-ის N5-დან N10 ანძამდე ორი, ერთმანეთით პარალელური მიმართულების ხაზების მოწყობის შესახებ ინფორმაცია, რაც მხოლოდ წარმოდგენილი სქემატური ნახაზებიდან იდენტიფიცირდება;
- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზით მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების გადაკვეთის შესახებ ინფორმაცია, გადაკვეთის ტექნიკური გადაწყვეტის მითითებით;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ეგზ-ის დემონტაჟის შესახებ, კერძოდ როგორც სკოპინგის ანგარიშშია მითითებული - გზმ-ს ანგარიშში შეფასებული იქნება პროექტის ზეგავლენა თითოეული გარემოსდაცვითი საკითხისთვის, საწყისი გარემო პირობების, ეგზ-ის დემონტაჟის/მონტაჟის და ექსპლუატაციის შედეგების შედარების საფუძველზე;

- დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი, კერძოდ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილი არ შეესაბამება დაგეგმილ საქმიანობას;
- სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს „წნისი“ და „წნისი-1“ ეგზ-ების გაჭრას და „წნისი-1“-ის შესვლა-გასვლას 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხეში“. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს არსებული ელექტროგადამცემი ხაზების („წნისი“ და „წნისი-1“) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც გათვალისწინებულია 2009 წლის 8 მაისს გაცემულ N49 ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნაში (სამცხე-ჯავახეთის ფილიალის ელექტრომომარაგების ქსელის შესახებ) და შესაბამის გზშ-ის ანგარიშში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. ამასთან გთხოვთ, განახლებული სკოპინგის ანგარიშში უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

